ქალაქ რუსთავის კინოთეატრის აღორძინების პროექტი

ლევან ვანიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კულტურის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სახელოვნებო თეორიის და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეონა კახიძე,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანია ნათლად დავინახოთ რუსთავის კულტურულ ცხოვრებაში კინოთეატრის არარსებობასთან დაკავშირებულიპრობლემადა მოვიძიოთ გზები ამ პრობლების გადასაჭრელად.

ნაშრომი მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს. პირველ ნაწილში ასახულია კინოს ზოგადი მნიშვნელობა დასაბამიდან დღემდე. ასევე კინოთეატრის როლი კულტურის სფეროში. თეორიული ნაწილი გამყარებულია SWOT ანალიზის დახმარებით.

თავებში მიმოხილულია ზოგადად კინოს მნიშვნელობა, კინოგაქირავების მდგომარეობა თბილისსა და რუსთავში, კინოთეატრის მნიშვნელობა კულტურულ ცხოვერებაში და კვლევა მისი არსებობის აუცილებლობის შესახებ.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეხება უშუალოდ რუსთავის კინოთეატრის აღორძინების პროექტს და მისი არსებობის აუცილებლობის კვლევას. ჩატარდამაყურებლისრაოდენობრივი და ხარისხობრივიკვლევა. რაჟანრიუყვარს, რასანიჭებსუპირატესობას, რამდენადხშირადდადისკინოთეატრშიდა ა.შ. ასევე, განხილულია კვლევის საფუძველზე შემუშავებული რუსთავის კინოთეატრის მიზნები და შესაძლებელი საქმიანობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კინო, კინოთეატრი, კინოგაქირავება, პროექტი, კვლევა, კულტურის მარკეტინგი.